

საქართველო



წელი 3 მან.

წ. ი. ხაჩიძის, ივლისის 28 1920 წ.

რეპუბლიკა

შოთაშვილის საინისტრო

ამით აცხადებთ, რომ სადგურ ყაზბეგში და თერგის ოლქში მას ყავის სურსათის შესაძენათ თავისი წარმომადგენლები, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით. აღნიშნულ რწმუნებულთა გარდა არავის არა აქვს საინისტროსაგან ასეთი მინდობილობანი.

გარდა ამისა არავის არა აქვს უფლება გაიტანოს ყუბანის და თერგის ოლქებში, საქართველოს საზღვრებიდან რაიმე საქონელი: შაქარი, მანუფაქტურა, ტყავეულობა და სხვა გარდა თვით საინისტროსი და მის ოფიციალურ ადგილობრივ წარმომადგენლებისა.

783 3-3

გალე დამბეჭდვა

„ქართული წიგნის სასწავლებლის ვებოლიკა“

შედგენილი ილია ფერაძის მიერ. წიგნი დაშვებულია სახელმძღვანელოდ სოფლის მასწავლებელთათვის.

82 3-3

დირექტორი ილია ფერაძე.

ოფიციალური განცხადება

კანონი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სახანძრო განყოფილების საქართველო სახელმწიფო შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ამ კანონთან დაკავშირებული შინაგან-საქმეთა სამინისტროს საექიმო-სახანძრო განყოფილების საქართველო სახელმწიფო შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.
 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაკვეთილ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისათვის 1920 წ. იანვრის 1-დან ივლისის 1-დე ას. სამოცდა რვა ათას ოთხას სამოცი (168.460) მანეთი.
 3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.
 4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
- 1920 წ. ივლისის 20-ს.
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
- რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოად. გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენისა.

1. მიეცეს სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა ყველა მუშა-მოსამსახურეთ, აგრეთვე რესპუბლიკის ლაშქარში მოსამსახურეთ და ჯარის კაცებს, რომელთაც ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან ეძლევათ, ერთდროული დახმარება თვიური ჯამაგირის რაოდენობისა, ხოლო არა უმეტესი სამი ათასი (3.000) მან. თვითეულს.
 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაკვეთილ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის ასი მილიონი (100.000.000) მანეთი, რომელიც უნდა განაწილებულ იქნეს ფინანსთა სამინისტროს მიერ უწყებათა შორის.
 - შენიშვნა: ამ დეკრეტის მოქმედება გავრცელებულ იქნეს აგრეთვე მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრებზე.
 3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
- 1920 წ. ივლისის 23-ს.
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
- რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

ქ. ფოთში მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტზე ხიდის გასაკეთებლად 14.700.000 მან. გადაღებისა.

1. გაკვეთილ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან-საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის თოთხმეტი მილიონი შვიდასი ათასი (14.700.000) მან. ქ. ფოთის თვითმართველობისათვის მისაცემად ქ. ფოთში მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტზე ხიდის გასაკეთებლად.
 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხის ნახევარი მიეცეს ფოთის თვითმართველობას დახმარებად, ხოლო დანარჩენი—შვიდი მილიონი სამას ორმოცდა ათი ათასი (7.350.000) მანეთი—უპროცენტო სესხად, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქ. ფოთის თვითმართველობის მიერ ხუთი (5) წლის განმავლობაში დღიდან ფულის მიღებისა ქ. ფოთის სასარგებლოდ არსებული საფუთო გადასახადის შემოსავლიდან.
 3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
- 1920 წ. ივლისის 20-ს.
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
- რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

სამონოპოლიო საქონლის მწარმოებელთათვის 100.000.000 მანეთის სესხის მიცემისა.

1. გაკვეთილ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის ასი მილიონი (100.000.000) მანეთი სამონოპოლიო საქონლის მწარმოებელთათვის სესხის მისაცემად.
 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხის განაწილება მიენდოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს მომარაგების მინისტრთან შეთანხმებით.
 3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
- 1920 წ. ივლისის 22-ს.
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე.
- რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

დეკრეტი

საქართველოს რესპუბლიკის ბონის შვიდი მილიარდი მანეთის ემისიისა.

1. უფლება მიეცეს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი შვიდი მილიარდი მანეთისა.
 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.
- 1920 წ. ივლისის 29-ს.
- დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
- რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გ. ურდანიანი.

შესანიშნავი ხარჯთ-აღრიცხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სახანძრო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა სახელმწიფოს.

№ რიგში	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის ბირთვი რიცხვი.	თვითეულს	თვეურად.	ყველას თვეურად.	ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან ივლისის 1-მდე.
1	სახელმწიფო ექიმი-ხედაზღვეველი	1	2400	2400	12000	
2	უფროსი ინსტრუქტორი მოხელე	1	2400	2400	12000	
3	მკვლელი	2	1615	3230	16150	
4	ტყავის გამომყვანი	2	1615	3230	16150	
5	მკვლელის თანაშემწე	1	1232	1232	6410	
6	დაბალი მოსამსახურე	2	1225	2450	12250	
	ჯამი	9	10537	14992	74960	
სამეურნეო ნაწილი						
7	მასალა პროტეზებისათვის	—	—	15000	75000	
8	ბინის ქირა	—	—	600	3000	
9	გათბობა-განათება	—	—	2100	105000	
10	საკანცელარიო ხარჯი	—	—	50	250	
11	წვრილმანი ხარჯი (ინსტრ. რემ. და სხვ.)	—	—	200	1000	
12	მოულოდნელი ხარჯისათვის	—	—	—	3750	
	ჯამი	—	—	17950	93500	
	სულ	9	10537	32942	168460	

1920 წ. ივლისის 20-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრ. ლორთქიფანიძე.

არა ოფიციალური განცხადება

შთაპროგნოზი

ტომრების საზღვარ-გარეთ გატანის აკრძალვა.

დამტკიცდეს დადგენილება ტომრების საზღვარ-გარეთ გატანის აკრძალვის შესახებ.

ძლიერი რადიო სადგურის მოწყობა.

მთავრობამ მოისმინა მოხსენება ტფილისში ძლიერ რადიო სადგურის მოწყობის შესახებ და დაადგინა გადაწყვეტილების გამოტანამდე უფრო დეტალურად შეისწავლოს სადგურის მოწყობის პირობები. ამიტომ დადგენილია რადიო-სადგურის მოწყობის პროექტი გასაცნობად მთავრობის წევრებს დაურიგდეს.

სომხეთის შუამდგომლობა

მოისმინა რა გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენება სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის შუამდგომლობის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ტფილ. ხაზინაში მყოფ კავისმანის და ყარსის ხაზინების საქმეების სომხეთზე გადაცემას მთავრობამ დაადგინა: მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობოს სომხეთის დიპლომატიურ მისიის წარმომადგენელს მთავრობის თანხმობა აღნიშნულ ხაზინების საქმეების სომხეთზე გადაცემის შესახებ. ამ საქმეების სომხეთზე გადაცემა მიენდოს ფინანსთა მინისტრს იმ პირობით, რომ ის საქმეები, რომლებიც ოლთისის და არდაგანის რაიონებს ეკუთვნის, სომხეთს არ გადაეცეს.

კულტურულ-განმანათლებელი ხეცია

გადაეცეს აგიტაციის და მოძრაგ. სამკითხველოს საჭიროებისათვის სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ ხეციას მესამე კლასის ვაგონი. ამ ვაგონით სარგებლობის კანონები უნდა შეიმუშავოს სამხედრო სამინისტრომ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

საჩუქარი რკინის გზაზე მოსამსახურე

მიეცეს უფლება გზათა დეპარტამენტს გაიხარჯოს ამ საჩუქრების დასარიგებლად 17,000 მან. ამასთანავე დეპარტამენტს მიენდოს დამფ. კრებაში სათანადო დეკრეტის შეტანა.

სანატორიუმი ბორჯომში.

სახელმწიფო კონტროლიორის შესწორებით მთავრობამ მიიღო მიწად-მოქმედების მინისტრის მოხსენება ბორჯომის სახელმწიფო მამულში სანატორიუმის მოწყობის შესახებ. სანატორიუმისათვის საჭირო სამეურნეო მოწყობილების შექმნა დაევალოს მიწად-მოქმედების სამინისტროს, მედიკური ნაწილის კი ჯანმრთელობის დეპარტამენტს. სანამ დამფ. კრება ამ პროექტს დაამტკიცებდეს ყველა წინასწარი ხარჯი სანატორიუმის მოსაწყობად მიწად-მოქმედების მინისტრმა გაიღოს. სათანადო კანონ-პროექტი დამფ. კრებას წარედგინოს.

შიდათ-მოქმ. საინისტრო

ტყის ჩაბარება ბათუმის ოლქში.

მიწად-მოქმედების სამინისტროში მიღებულ ცნობების თანახმად ბათუმის ოლქში სამინისტროს რწმუნებულმა უნდა ჩაიბაროს 108.720 დეს. ტყე, რომელიც უმთავრესად ფიქვ-ნაძვარისაგან შედგება. ართვინის ოლქში ჩასაბარებელია 2.538 დეს. ტყე.

ბორჯომის წყლის ფაზის გადიდება.

მიწად მოქმედების სამინისტროსთან დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა საკითხი ბორჯომის წყლის ღირებულების შესახებ. კომისია დაწვრილებით გაცნო ყველა გასაჯალს და გამოარკვია, რომ სამინისტროს უჯდება თითო ბოთლი წყლით, შეხვევით და სხვ. 18 მ. და 13,5 კ. იმ მიზნით, რომ გაძვირების გამო არ შემცირებულიყო ბორჯომის წყლის მოთხოვნილება, კომისიამ დაადგინა დაავალოს სამინისტროს კონტრაგენტს, რომ მან წყალი დადგენილ ფასზე უფრო ძვირად

არ გაუვიდოს. საკათხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: ქარხანაში ერთი ბოთლი ბორჯომის წყალი ეღირება 2) მან. და კერძოდ გაყიდვის დროს კი 2 მან. ამჟამოვე წარუდგენენ მაწოდ-მოქმედების მინისტრს დასამტკიცებლად.

საქართველო და საგარეო რუსეთი

სამხედრო გარანტიების შესახებ ქართულ-რუსულ შეერთებულ კომისიის საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე ბათომისა და მის ოლქის განსაკუთრებულ კომისარ ჩიკვიშვილისაგან შემდგვი წერილი მიიღო: „დღეს 17 საათსა და 20 წუთზე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო მინისტრ საბახტარაშვილისაგან შემდგვი დეკლარაცია მივიღე: „ვინაიდან საბჭოთა რუსეთმა თავის წარმომადგენელ კომისარის ხსენებით წარმოადგინა, მე მინდა თქვენგან მივიღო განმარტება შემდეგ საკითხებზე: 1) ივლისის 13, ბათომის ნავთსადგურიდან გვიდა გემი ყიზილ-არვატი, რომელმაც ვრანგელთან მიმავალი 800 მოხალისე წაიყვანა; 2) ამ ემად ბათომის ნავთსადგურში იტარებდა გემი „ხუტე დიდი“, რომლითაც განზრახული აქვთ დენიკინის ყოფილ მოხალისეების ყირიში გაგზავნა. ამის გამო საბჭოთა მთავრობა აცხადებს თავის პროტესტს და სთვლის რა ამას ხელშეკრულების დარღვევად სასწრაფოდ პასუხს თხოულობს. გაცნობებთ თქვენ ამას მთავრობას უკვე ვაცნობე ყველაფერი მაგრამ ვაცხადებ, რომ ინფორმაცია, რომელმაც საბჭოთა მთავრობის პროტესტია აგებული, სრულიად უსაფუძვლოა. იმ გემის შესახებ, რომელიც სფრანგეთის დროშით ივლისის 13 სევისტოპოლისკენ გვიდა, მე შემძლიან ვაცნობთ შემდეგ: თვალყურის დევნებამ გაუმართაობა, რომ ამ გემის მკვლევარს შორის არ ყოფილა არც ერთი მოხალისე, ვინაიდან იმ სარწმუნო ცნობების მიხედვით, რომელიც მე ხელთა მაქვს, მოხალისეებს დაუჯერებიათ ბათომი ივლისის 7-დღე. ის მოხალისეები კი, რომლებიც დარჩენ და აგრეთვე ისინიც, ვის შესახებ ვეკუ არის, რომ ისინი მოხალისეთა ჯარში მსახურებდნენ, ყარაულქევი იმყოფებიან. რაც შეეხება გემს „ხუტე დიდი“ იგი ნავთსადგურში არ აღმოჩნდა, არის მხოლოდ პატარა მატარაინი იალქანი ამავე სახელის, რომელიც მოვიდა ნოვოროსისიკიდან ივლისის 9 ნოვოროსისკის ნავთსადგურის სამართველოს მოწმობებით და რომელმაც მოიტანა 420 ფუთი პური და 1230 ფუთი ფქვილი. გემი დატვირთულია გოვირდით და შაბიანით. გემზე არ არის არც ერთი გირვანქა კეროსანი და არც ერთი მგზავრი. საით გაემგზავრება გემი ჯერ არ არის გამოკლებული, ვინაიდან მიმართულა ჯერ არ აუღია. აქედან შევძლიან დავასკვნათ, თუ როგორია ღირებულება იმ ინფორმაციისა, რომელიც საბჭოთა მთავრობას ალბად ჩვენმა მტრებმა მათგანდეს. მიმართა რა საჭიროდ ჩაითვალდა ფაქტების დადასტურება, გთხოვთ მისცეთ წინადადება რუსეთის დელეგაციას, ან მის თავმჯდომარეს, თქვენთან ერთად მოზრძანდეს გემზე და შემოწმოს ჩემი ცნობის სინამდვილე და ამისთანავე სათანადო ოქმიც შეადგინოს. საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ დაიფიქრა. კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. მდლიანმა, ეს ქალაქი მალევისთანავე ასლთან ერთად რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარეს რუსების გადაუდგავნა. ამისთანავე განსაკუთრებულმა კომისარმა სასწრაფოდ გაუგზავნა დეკლარაცია საგარეო საქმე. სამინისტროს და საბახტარაშვილის კითხვებზე ვრცელი პასუხი გასცა.“

საქართველოს სახელმწიფო განის გახსნა

შაბათს, ივლისის 24, სახელმწიფო ბანკის გახსნას დაესწრო მთავრობის წევრები: შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი, იუსტიციის მინისტრი მ. არაქიანი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ტკეპაძე, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, დამუშავებული კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ა. ლომთაძე, სენატის პრეზიდენტი გელაზაროვი, ა. ჩუკელი და დამფ. კრების სხვა წევრები. როდესაც მოწვეულნი შეიკრიბნენ, სახელმწიფო ბანკის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ელიანამ ბანკის საბჭოს და გამგეობის შეერთებუბული სხდომა გახსნა და გამოაცხადა, რის შემდეგაც მან მოკლედ გააცნო დამსწრეთა უკვე მქაჯო ბანკის წარმოშობის ისტორია.

დასასრულ წავითხეს დამფ. კრების მიერ არჩეულ სახელმწიფო ბანკის საბჭოს და გამგეობის წევრები. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულია ს. მდლიანი; წევრებია: გ. ჟურული, ბერელაშვილი, ბ. რათაშვილი, ტკეპაძე, მესხი, ცაგარელი, თოფურაძე და მთავარ ფინანსთა სამინისტროს ორი წარმომადგენელი ჟორჯოლაძე და ჩხეიძე; ბანკის გამგედ არჩეულია ი. ლორთქიფანიძე, გამგის ამხანაგად რ. დუმბაძე და გამგეობის წევრებად მენაბდე და ქალაქი. შემდეგ ბანკის ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. ლორთქიფანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ბანკის გასახსნელად საჭირო ორგანიზაციული მუშაობა დასრულებულია და ამიტომ იგი თხოულობს ოპერაციების უფლებას. ამ განცხადების შემდეგ საბჭო ერთმანედ აღვენს ბანკის მოქმედების დაწყებას, საბჭოს ამ დადგენილებას აცხადებს ნ. ელიანი. შემდეგ მოკლე სიტყვით გამოიხატა კვლავ ი. ლორთქიფანიძე, რომელმაც საერთოდ დაახასიათა ის მიმეპრობები, რომლებშიც უხდება ბანკს პასუხსაგებ მუშაობის დაწყება და აღნიშნა ბანკის მოქმედების პროგრამა, რომლის მიზანს შეადგენს რესპუბლიკის ვაჭრობის და მრეწველობის განვითარება. მოკლე მისასალმებელი სიტყვები წარმოასიტყვეს დამფ. კრების პრეზიდენტი სხელით ა. ლომთაძემ, რომელმაც რწმენა გამოსთქვა, რომ ბანკი გაამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც მასზე ამყარებს რესპუბლიკა. მოაგრობის სახელით ბანკის საბჭოს და გამგეობას მიესალმა რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ისე, როგორც რესპუბლიკის ძღვევამოსალმა გვარდამ და ჯარმა უზრუნველყო ერთი ფიზიკური არსებობა, ისე ბანკმა უნდა განამტკიცოს რესპუბლიკის ეკონომიური კეთილდღეობა. ყოველ შემთხვევაში მთავრობის სახელმწიფო ბანკს თავისი დახმარება სჭირდება. ს. ავალიანმა აღნიშნა, რომ ამ ემად, როდესაც იქმნება ახალი სამეურნეო დამოკიდებულებანი, სახელმწიფო ბანკმა მიზნად უნდა დაისახოს საზოგადო ინიციატივისა და საზოგადო მეურნეობისათვის დახმარების აღმოჩენა. დასასრულ ს. ავალიანმა იმედი გამოსთქვა, რომ ბანკი სწორედ საზოგადოებრივ აღმშენებლობის გზით წავაო. ცენტრობანკის გამგეობის თავმჯდომარემ გოთუამ, რომელიც ბანკის საბჭოს და გამგეობას საკრედიტო დაწესებულებების სახელით მიესალმა, იმედი გამოსთქვა, რომ ბანკი არ დაიფიქრებს არც კერძო ინიციატივას და მას შესაფერ დახმარებას აღმოუჩენსო. დასასრულ გადამწა მისასალმებელი დეკლარაცია გაგზავნა მთავრობის თავმჯდომარისა, დამფ. კრებისა და ფინანსთა მინისტრის კანდელაკის სახელზე. ამის შემდეგ საბჭოს და გამგეობის შეერთებული სხდომა დახურულად გამოაცხადეს. ბანკმა თავისი ოპერაციები დაიწყო.

თავიერი ვალიუტის საკითხის შესახებ

პროფ. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით ვალიუტის საკითხის განსახილველად საგანგებო თათბარი შესდგა. კრებას დაესწრო მთავრობის მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭავაძე და საგანგებოდ მოწვეული პირები. პროფ. ავალიანმა გ ხსნა კრება, მოკლე სიტყვაში აღნიშნა ის გარემოება, რომ თუ ეს თათბირი ვერ გაითვალისწინებს ვალიუტის საკითხის მოწესრიგებისათვის კონკრეტულ ზომებს, იმ.ს. მიიწევა ვაკეთებს, რომ გამოიწვევს ერთგვარ საფუძველს, რომლის შემწეობით ფინანსთა უწყებას საჭირო ზომების გასაღებათ მერე შესაძლებლობა ექნება. ამისთანავე ავალიანმა აღნიშნა, რომ ვალიუტის დაცვამა გამოწვეულია არა ხელოვნური გზით, არამედ დასავლეთ ევროპაში არ ებულ საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობით. ამიტომ სკეკულიციას არ შეუძლია ადვილობრივ ვალიუტის ბაზარზე დიდი როლი ითამაშოს. ვალიუტის საკითხის მოსაწესრიგებლად სხვა ზომათა გარდა ავალიანი ასახელებს:

- 1) ექსპორტის გაძლიერება,
- 2) ვალიუტის ფონდის შესაქმნელად სხვა და სხვა წყაროს გამოქმენას.
- 3) ცენტრალურ დაწესებულებაში, სახელმძღვანელო, საქართველოს სახელმწიფო ბანკში ვალიუტის ოპერაციის მონაპოლის გამოცხადებას. შემდეგ ვალიუტის საკითხის შესახებ დიდ მოხსენებას აკეთებს საგარეო სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დ. გ. აბხაზი, რომელიც აკეთებს რა ანალიზს ვალიუტის ღირებულების მოძრაობისა, ამტკიცებს რომ თამასუტის კურსი იცვლება არა იმდენად სკეკულიციის გავლენით, რამდენად საერთო

პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში მომხდარ ამბების გავლენით. საქართველოს ვალიუტის კურსის დაცვამ აიხსნება მით, რომ საქონლის ბალანსი ცუდ მდგომარეობაშია. ვალიუტის კრიზისთან საბრძოლველად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ზომების გატარება:

- 1) ქალაქის ფულის ნიშნების შემცირებით და სახელმწიფოებრივი ეკონომიური ფულის ბრუნვის გაუმჯობესება.
- 2) ტრანსპორტის გაუმჯობესება.
- 3) უცხო კაპიტალის შემოყვანა (სესხი, კონცესია).
- 4) სავაჭრო და საკრედიტო არბიტრაჟის გაძლიერება.
- 5) იმპორტის შემცირება (ფუფუნების საგნების შემოჩანის აკრძალვა).
- 6) კომპეტენტი ორგანოს დაარსება, როგორც მაკალითად ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკის გატარებას ხელს შეუწყობს და სხვ. კერძოდ მომხსენებელმა ძლიერ დად მნიშვნელობას აძლევს რუსეთსა და ევროპის შორის საქართველოს არბიტრის როლში გამოსვლას. მომენტუ ახლა ხელსაყრელია და იგი არ უნდა გაუშვთ ხელიდან. ამზობს მოხსენებელი. მოზარაგების მინისტრის ამხანაგმა ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ სხვა მიზეზთა შორის, რომელიც ვალიუტის კურსის დაღებაზე გავლენას ახდენს არის ისიც, რომ რესპუბლიკის ვაჭრები არ სცოდნებიან ბათომს და მეორე ხელიდან უხდებათ საქონლის ყიდვა. კამათის შემდეგ, ვალიუტის კრიზისთან საბრძოლველად შემდეგი ზომების განხორციელება სცენეს სასურველად: 1) ვალიუტის ფონდის დაუყოვნებლივ შექმნა, 2) დაარსება ეკონომიურ საბჭოსი, რომელიც სახელმწიფოს მეურნეობას გეგმავს შეიქმნავეს, ბრძოლა სკეკულიციასთან პარდაპარ მწარმოებელთაგან აუცილებელ საქონლის შესყიდვით, ვაჭრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. კამათის შემდეგ თათბირმა დაადგინა დაუყოვნებლივ შექმნას ვალიუტის ფონდი და დაარსოს ეკონომიური საბჭო.

სომხეთი და საგარეო რუსეთი

ჩაჩერიანს ნება.

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩაჩერიანმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა სომხეთის მთავრობას:

„ერევანი, საგარეო საქმეთა მინისტრის ოჯანჯანიანს; ასლი თფლისში კიროსს. საბჭოთა მთავრობის მოქმედება კავკასიაში მზნათ ისახავს ხელი შეუწყოს სომხეთის ხალხის წყნარ და მშვიდობიან განვითარებას ისევე, როგორც სხვა მის მუზობელ ხალხების განვითარებასაც ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად. საბჭოთა რუსეთი გამოდის როგორც უანგარო მეგობარი თვითველ ერის მშრომელებისა. რუსეთის ჯარების ნაწილების მიერ იმ ადგილების დაკავება, რომლებმაც მუხომედი ხალხთა შორის ბრძოლის პროცესში სადაცა ადგილები ხასიათი მიიღო სომხეთის ადგილებიდანისათვის, მზნათ ისახავს, სისხლიან შეტაკების თავიდან აცილებას, რასაც შესაძლებელია მკრათ ცუდი შედეგები მოჰყვეს მონაწილე მხარეებისათვის; აღნიშნულ ადგილების დაკავება მზნათ ისახავს აგრეთვე ისეთ პირობების შექმნას, როდესაც შესაძლებელი იქნება სადაო ტერიტორიალურ საკითხების მშვიდობიანი და მათდგომელი გადაწყვეტა.“

მეგობრული დამოკიდებულება, რომელსაც საბჭოთა მთავრობა სცდილობს დაამყაროს ოსმალეთის მკირე აზიის ნაციონალურ მთავრობასთან, სხვათა შორის იმ მიზნითაც უნდა მას გამოიყენოს, რომ სომხეთის მოუპოვოს საჭირო ტერიტორია, მკირე აზიაში და რომ ბოლო მოუღოს გაუთვებელ საბედისწერო შუღლს მუსულმან მცხოვრებლებთან და სომხებს შორის.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებებით აიხსნება ის გარემოება, რომ ოსმალეთის ნაციონალისტებმა შეაჩეროს უკვე დაწყებული მობილიზაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სომხეთის ხალხზე ახალი თავდასხმა; ნაციონალისტებმა სურვილი გამოსთქვეს საქმე მშვიდობიანად მოაგვარონ და დაამყარონ მუსულმანებსა და სომხებს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება. საბჭოთა რუსეთი განაგრძობს მიუდგომლად მეგობრულ დამოკიდებულებას თვითველ ერის მშრომელებისადმი და სომხეთის ხალხს შეუძლიან დაიმკდებელი იყოს, რომ

საბჭოთა მთავრობა ასევე მეგობრულად უყურებს მას და დაიცავს სომხეთის ხალხს ყოველგვარ საფრთხისაგან.

საბჭოთა რუსეთის რწმუნებულის—ლეგრანის ჩამოსვლა ერევანში ხელს შეუწყობს ყოველგვარ დაგროვილ გაუგებრობათა გამორკვევას. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ ლეგრანთან მოლაპარაკების საშუალებით სომხეთის მთავრობა დარწმუნდება საბჭოთა მთავრობის კეთილ განზრახვებში და შესაძლებლად სცნობს ხანგრძლივად და საბოლოოდ შეუთანხმდეს მას და მასთან ერთად ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას კეთილმეზობლურ დამოკიდებულებათა შესახებ.

საგარეო საქმე. სახალხო კომ. ჩაჩერიანი.

უცხოეთი

(საინფორმაციო მიუროს ცნობები)

შეერთებულ შტატებში.

შეერთებულ შტატების პრეზიდენტის კანდიდატის გამო დემოკრატიულ პარტიაში უთანხმოება. სან-ფრანცისკოში 14 ჯერ მოხდა კენჭის ყრა, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ხალ თათბირზე კვლავ მოხდა კენჭის ყრა 22 ჯერ, და მხოლოდ 33 კენჭის ყრამ მისცა დემოკრ. პარტიას შემდეგი შედეგება: მაგ. აღდუმ მიიღო 399 ხმა, გუბერნატორმა კვლავ კოვმა—377, და ლონდონში მყოფმა ამერიკის ელჩმა დეფისმა—2862.

შესახე ინტენაციონალი.

სკერბორში მომხდარმა მუშათა კონფერენციამ დიდი უმრავლესობით უარყო მესამე ინტენაციონალში შესვლა. შეკვლის წინააღმდეგი იყვენ დელეგატები, რომლებიც 2.440.000 მუშას წარმოადგენენ. მომხრე კი დელეგატები, რომლებიც 225.000 მუშას წარმოადგენდნენ. დღე ხმის უმეტესობით უარყოფილი იქნა წინადადება მეორე ინტენაციონალიდან გამოსვლის შესახებ.

ინგლისი და იაპონია.

„დეილი ექსპრესი“ იუწყება: ინგლისსა და იაპონიას შორის მოხდა შეთანხმება ინდოეთსა და წიბეჭში ბოლშევიკების წინააღმდეგ შეერთებულ მოქმედებას შესახებ. იმავე გაზეთმა გადამოკვდა პოლონურ გაზეთ „კურირე პოლენისის“ ცნობა იმის შესახებ, რომ ლატვის ტარივა პოლონეთის წინააღმდეგ საბრძოლველათ ბოლშევიკებთან შეთანხმებულა.

გერმანიაში.

მთავრობამ შეიმუშავა ახალი სახლუბის შენების გეგმა. ამ მიზნისათვის გადაღებულია 63 მლ. მარკა.

ფოსტა-ტელეგრაფის კონფერენცია პარიზში.

საზოგადოებრივ მუშაობის სამინისტროში საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის კონფერენციის პირველი სხდომა შესდგა. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილია ევროპის ყველა ქვეყანა გარდა რუსეთისა. კონფერენციის მიზანია ევროპის ყველა ქვეყნის შორის საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო დამოკიდებულების აღდგენა.

დენინი და რომის პაპა.

„პტი ჟურნალი“ იუწყება: მოსკოვის მთავრობის თავმჯდომარემ ლენინმა, რომის პაპს თხოვნით მიმართა, რომ მან გამოგზავნოს რუსეთში საგანგებო კომისია რუსეთის ცხოვრების ახალ სარწმუნოებრივ და სოციალურ ფორმების შესასწავლად.

პოლონეთი და ბაოშევიცები

მარშალ ფოშა და პოლონეთის საბჭოს პრეზიდენტ გრაბსკის შორის თათბირი იყოს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში შეუძლიან მოკავშირეებს აღმოუჩინონ დახმარება ბალშევიკებთან ბრძოლაში პოლონეთის. მარშალმა ფოშმა გრაბსკა დაამიდა: მოკავშირენი ყოველგვარ ზომებს მიღებენ პოლონეთის მდგომარეობის გასამტკიცებლად. იმავე დღეს მარშალი ფოში პარიზში დაბრუნდა.

ახალი რკინის გზა საფრანგეთში.

საფრანგეთის ხელმძღვანელ წრეებში საკითხი აღიარა, რომ ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის საკითხის განხილვისათვის, განხილულ იქნეს საკითხი დიდ საერთაშორისო რკინის გზის ხაზის გაყვანის შესახებ, რომელიც ფრანგების წინადადებით ბორდოს ბუჟარესტთან უნდა აერთებდეს. ეს გზა მილანსა და ტურინზე გაივლის. იგი ძველ გზას 100 კილომეტრით შეამოკლებს.

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის 7 კლ. დამთავრების ატესტატი № 340 და ამავე სასწავლებლის მე-8 კლ. დამთავრების მოწმობა № 242 სალომე ნოზარევიანის ასული ალავიძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1959 3-3

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა № 53 ივანე გიორგის ძე პეტრიაშვილის სახელზე, მიღებული დაბაონის, რაჭის მაზრისა, სამხედრო საკრებულოდან 1906 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3-3

დაიკარგა მოწმობა № 5456 მოცემული, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საექიმო ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტის დავით ვლადიმერის ძე კახანაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1924 3-3

დაიკარგა ხელზე ვაჭრობის ნებართვა ავლოტა პეტრეს ასული პოლოხოვის სახელზე შეღებული ტფ. ქალაქის გამგებოიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1971 3-2

დაიკარგა პასპორტი № 472 მამედ ჯაფარისმილი ოღლის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ქ. ტფილისში 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1972 3-2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ლეონ კონიას ძე ლალიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1912 წ. ივნისის 14 ს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1980 3-2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 15153 ზინაიდა ივანეს ასუ ველენდიკაიას სახელზე, მიღებული კიევის შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1974 3-2

გიორგი სიმონის ძე ლლონი აცხადებს, რომ მან დაპყრობა პირადობის მოწმობები სურათებით თავის, მისი ცოლის, დედის და დის სახელზე, მიღებული რკინის გზის სამმართველოდან, ს.დ. პარტიის წევრობის წიგნაკი და სხვა საჭირო საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1970 3-2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 488 გაბრიელ ივანეს ძე კახარავის სახელზე, მიღებული ტფ. მდამო მოქალაქეთა სამმართველოდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1962 3-3

დაიკარგა პასპორტი მაგომედ გაში ოღლის სახელზე, მიღებული დაღესტანის ოლქის კახა კუმუხის სამილიცია ნაწილიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1948 3-3

დაიკარგა ტფ. რეალური სასწავლებლის დამთავრების მოწმობა პავლე მაცნიევის სახელზე, მიღებული 1905 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1950 3-3

დაიკარგა პასპორტი დანიელ გრიგოლის მელნიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულად. ჩაითვალოს. 951 3-3

ფაშა (იგივე ბართომილა) თათუხას ძე ტერ გაბრიელი აუქმებს, ვეჟილობას მიცემულს მის მიერ ვეურქა(იგივე კონსტანტინე) არტემას ძე ალიხანოვისადმი, აღნიშნულის ტფ. ნოტარიუსის სამმართველოდან 1919 წ. ივლისის 23-ს რეესტრითა № 5470. 1945 3-3

დაიკარგა საბინაო დეფთარი გოგოლის ქ. № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ტულმინს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1939 3-3

დაიკარგა ტფ. პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 86430 1000 მან. ღირებულებებს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1941 3-3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან და ხელზე ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგებოიდან—ერნესტი მარტინის ძე მატულევიჩის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1983. 3-1

დაიკარგა მილიციონერობის მოწმობა № 734 ვართან ვუსტოს ძე გალაგონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1985. 3-1

დაიკარგა პასპორტი არიუთინ სტეფანეს ძე ცატუროვის სახელზე, მიღებული სომხეთის საკონსულოდან ქ. ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1987. 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი იოსებ ალექსანდრეს ძე ნარიმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისგან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1981. 3-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 მაისს 1920 წ. დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, შესრულებული 30 აპრილს 1920 წ. ქ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ, რომლითაც მცხოვრ. ქ. სოხუმში ოლა შარვანის ასულმა ჩიტავა-დიატლოვიჩმა მიჰყიდა მცხოვრ. ქ. სოხუმის ვასილ ივანეს ძეს კირთავის ნაწილი მიწის ნაკვეთისა შენობებითურთ, 18000 მან. მდებარე ქ. სოხუმში, ზაბესლეთის ნაწილში, უბ. ლიტ. „E“ № 4, ზომით 84,37 ოთხკუთხი საყ. 705. 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 მაისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, შესრულებული 30 აპრილს 1920 წ. ქ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ოლა შარვანის ასულმა ჩიტავა-დიატლოვიჩმა და ანნა როსტომის ასულმა ჩიტავა ილია ივანეს ძე კირთავის მცხოვრ. ქ. სოხუმის მიჰყიდეს ნაწილი მიწის ნაკვეთისა შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში ზაბესლეთის ნაწილში, უბ. ლიტ. „E“ № 4, ზომით 135,01 ოთხკუთხი. საყენი, 5000 მან. 704. 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 27 მაისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, შესრულებული 19 თებერვალს 1920 წ. ქ. გულაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ, რომლითაც ქ. გულაუთის მცხოვრ. ანასტასია ვასილის ასულმა ნიკოლოზოვამ 10000 მან. მიჰყიდა მცხოვრ. ქ. გულაუთის გრიგოლ გიორგის ძე ლეიბას მიწის ნაკვეთი შენობებითურთ, მდებარე ქ. გულაუთში, უბ. 103, № 6, ზომით 212,8 ოთხკუთხი საყ. 703. 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 28 მაისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, შესრულებული 19 მარტს 1920 წ. ქ. გულაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ, რომლითაც ქ. გულაუთის მცხოვრ. იორდანე კონსტანტინეს ძე კარტოზია 1500 მან. მიჰყიდა მცხოვრ. ქ. გულაუთის ვლადიმერ ბესარიონის ძე პილიას მიწის ნაკვეთი შენობებითურთ, მდებარე ქ. გულაუთში, უბ. 41-ში, № 6, ზომით 125 ოთხკუთხი საყ. 702. 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 27 აპრილს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრებმა ანტერ მოსეს ძე ზაიდშერმა 30000 მან. მიჰყიდა ქ. სოხუმის მცხოვრებელს დიმიტრი დავითის ძე მესხის ერთი ნაჭერი მიწისა შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში, გოგოლის ქუჩაზე მე-8 უბანში, № 3, ზომით 120 კვ. ს. 694. 1-1

სუფსის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, გურის სამომრიგებლო ყრილობის ოლქისა, აცხადებს, რომ, თანახმად მისი დადგენილებისა 28 თებერვლიდან 1920 წ. ძებნა მცხოვრების ჭურუყვითის თემის, ოხურგეთის მაზრისა, პეტრე ნიკოლოზის ძე კეონიას, გამომცხადებელი ვაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში № 256 1919 წლ. მოსპობილ იქნას, რადგანაც საქმე მის ბრალდებაზე, თანახმად დამფუძნებელი კრების 27 იანვრის 1920 წ. დეკრეტისა (ამნისტია), მოსპობილ იქნას. 0547 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 24 მაისს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტიკის საქმეთა ნუსხაში 24 ნაწ. № 1141, გვერდ. აღნიშნულია სიმტიკის მოწმობა, შესრულებული სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ 6 მაისს 1920 წ. № 2 მამულზე, რომელიც შეიძინა ქ. სოხუმის მცხოვრებმა სიმონ სტეფანის ძე მანუკოვამ, მდებარე ქ. სოხუმში გეიმანოვის ქუჩაზე, უბ. ლიტ. „II“ და რომელიც შეადგენს ცარიელ მიწის ნაჭერს, ზომით 212 ოთხკუთხი. საყ. 671 1-1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 806 პავლე ალექსის ძე კეკიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1920 წ. მაისის 24-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1982. 3-1

უფროსი ნოტარიუსი სოხუმის ოლქის სასამართლოს აცხადებს, რომ 26 აპრილს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. გულაუთის მცხოვრებმა პეტრე ივანეს ძე ალტუნინმა 4000 მან. მიჰყიდა ქ. გულაუთის მცხოვრებელს გრიგოლ თომას ძე ხატიას ორი ნაჭერი მიწისა შენობებითურთ, მდებარე ქ. გულაუთში უბანში № 12, №1, №1 და 3 ზომით 350 ოთხკ. საყ. 692 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 მაისს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტიკ. საქმ. ნუსხაში 49 ნაწ. № 2070, 186 გვერდ. 35 ნაწ. № 1919 1 გვერდ., 42 ნაწ., № 2630, 156 გვერდ. და 49 ნაწ., № 2081, 139 გვერდ. აღნიშნულია პირი ტფილისის პალატის დადგენილებისა 16-23 თებერვლის 1920 წ. ნინა იესეს ძე მატკავას დამტკიცებაზე მემკვიდრეობის უფლებებში გარდაცვალებული სვიმონ იესეს ძე საბაშვილის ქონებაზე, მდებარე ქ. გულაუთში, ზომით 592 ოთხკუთხი. საყ. და ქ. ვაგრაში, რომელიც შეადგენს უფლებას 1/2 ნაწილ. მიწის ნაჭერისა, ზომით 111, 5 ოთხკუთხი. საყ. 670 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 25 მაისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, შესრულებული 7 მაისს 1920 წ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. სევასტი ანტონის ძე ჯინქარაძემ 16000 მან. მიჰყიდა უფლებები ქ. ფეთის მცხოვრ. მაქსიმე გერასიმეს ძეს უნვაიძე მიწის ნაკვეთის ნახევარ ნაწილზე შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში ბაგრატიონოვსკის პროსპექტის და ბეზმიანაი ქუჩის კუთხეში, უბ. 21 № 6 ზომით 287, 85 ოთხკუთხი. საყ. 708 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 მაისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, შესრულებული 27 მაისს 1920 წ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ, რომლითაც ქ. გულაუთის მცხოვრ. ნინა იესეს ასულმა მატკავამ 70000 მან. მიჰყიდა ქ. გულაუთის მცხოვრ. მურზაყან ხუსეინის ძეს ლავრობაის 5 ნაკვეთი მიწისა შენობებითურთ, მდებარე ქ. გულაუთში 1, 2, 3 მე-უბ. № 7, №1, მე 4 უბ. 7, № 7 და მე 5 უბ. 4, № 6, ზომით 289 ოთხკუთხი. საყ. 709 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 30 აპრილს 1920 წ. დამტკიცებულია, შესრულებული 17 ნოემბერს 3916 წ. სოხუმის ნოტარიუსის ზატკორნიცკის მიერ განყოფილი აქტი დეტალზე ხაჯაიას ძის და არჩილ ბიქიას ძის ჯითავას შორის იმათ მამულის შესახებ, რომელიც იმყოფება ქ. სოხუმში ვენეციანის გზატკეცილზე ზომით 1456 ოთხკუთხი საყ. რომელ განყოფილების ძალით დეტალზე ჯითავას ერგო ნაწილი ამ ქონებისა, ზომით 728 ოთხკ. საყ. შენობებითურთ. არჩილ ჯითავას ნაწილი. ზომით 728 ოთხკ. საყ. შენობებითურთ. 693 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 28 მაისს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტიკ. საქმ. ნუსხაში ნაწ. 49, № 2079, 133 გვერდ. აღნიშნულია შედგენილი გულაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ 19 მარტს 1920 წ. მიცემითი სიგელი № 14, რომლითაც ქ. გულაუთის მცხოვრ. იორდანე კონსტანტინეს ძე კარტოზია შეიძინა უძრ. მამული, რომელიც ეკუთვნოდა ქ. გულაუთს, მდებარე ქ. გულაუთში უბ. № 41 და რომელიც შეადგენს 1/2 ნაწ. მიწის ნაჭერისა № 6, ზომით ეს ნაწილი 125 ოთხკუთხი. საყ. 675 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 მაისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, შესრულებული 27 მაისს 1920 წ. სოხუმის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ, რომლითაც ქ. გულაუთის მცხოვრ. ნინა იესეს ასულმა მატკავამ 30000 მან. მიჰყიდა ქ. გულაუთის მცხოვრ. მურზაყან ხუსეინის ძეს ლავრობაის მიწის ნაკვეთი შენობებითურთ, მდებარე ქ. გულაუთში უბ. 22, № 5, ზომით 250 ოთხკ. საყ. 710. 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის ნოტარიუსი არქივის საქმეთა სიმტიკის ნუსხაში სოხუმის ოლქისა ნაწილში 49, № 2076, 124 გვერდზე, 26 აპრილს 1920 წ. ჩაინიშნა სიმტიკის მოწმობა, შედგენილი გულაუთის ნოტარიუსის მგალობლიშვილის მიერ 28 იანვარს 1920 წ. № 4 მცხოვრ. ქ. გულაუთის ნიკოლოზ იავროს ძე ხომერკის მიერ უძრავ ქონების შეძენის თაობაზე, რომელიც ეკუთვნოდა ქ. გულაუთს, მდებარე ქ. გულაუთში, უბანში № 63, და შესდგება ნაკვეთი მიწისგან № 2, ზომით 250 ოთხკუთხი. საყ. ღირებულება 187 მან. 50 კაპ. 676 1-1

სოხუმის ოლქის უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 31 მაისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი შესრულებული ნოტარიუს ზატკორნიცკის მიერ 18 ნოემბერს 1916 წ., რომლითაც დეტალზე ვაკატას ძე ჩიტავამ მცხოვრ. ქ. სოხუმის მიჰყიდა ივანეს მარტოვიჩ ძე ნინემიაგის ნაწილი მიწის ნაჭერისა შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში, ვენეციანის გზატკეცილზე, ზომით გაყიდული ნაწილი 510 კვ. საყ. ღირებულება 2550 მან. 680 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 27 აპრილს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი შესრულებული ნოტარიუს ზატკორნიცკის მიერ 21 აპრილს 1920 წ. რომლითაც პანოტ კონსტანტინეს ძე სანდალიძემ მცხოვრ. ქ. სოხუმის მიჰყიდა ბესარიონ ანდრეას ძე ზანშეინს მცხოვრ. ქ. სოხუმის მიწის ნაჭერი შენობებითურთ, მდებარე ქ. სოხუმში, კოლუმბიაკინის ქუჩაზე, კვ. ლიტ. „E“ № 2, ზომით 122 კვ. საყ. ღირებულება 80,000 მან. 681 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად მისი ნებადართვ. მუხ. 24 აპრილისა 1920 წ. აღკრძალვა, დადებული მელტონ ივანის ძე კირთავის უძრავ მამულზე და შეტანილი აღკრძალვ. მუხ. კრებ. ქ. სოხუმისა 1909 წ. № 21, მოსპობილია. კრებ. ნებადართვ. მუხ. ქ. სოხუმის 1920 წ. № 77. 0545 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად მისი ნებადართვ. მუხ აღკრძალვა დადებული როზა მიხეილის ასულის მოსტკოვას უძრ. მამულზე და შეტანილი აღკრძალვ. მუხ. კრებ. ქ. სოხუმისა 1910 წ. № 125, მოსპობილია. კრებ. ნებადართვ. მუხ. ქ. სოხუმისა 1920 წ. № 90. 0544 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად მისი ნებადართვ. მუხ. 17 მაისისა 1920 წ. აღკრძალვა, დადებული როზა მიხეილის ასულის მოსტკოვას უძრ. მამულზე და შეტანილი აღკრძალვ. მუხ. კრებ. ქ. სოხუმისა 1910 წ. № 110, მოსპობილია კრებ. ნებადართვ. მუხ. ქ. სოხუმისა 1920 წ. № 89. 0544 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად მისი ნებადართვ. მუხ. 17 მაისისა 1920 წ. აღკრძალვა, დადებული ლიდა ტიხონის ასულის პანჩინის უძრ. ქონებაზე და შეტანილი აღკრძალვ. მუხ. კრებ. ქ. სოხუმისა 1915 წ. № 51, მოსპობილია. კრებ. ნებადართვ. მუხ. ქ. სოხუმისა 1920 წ. № 88. 0543 1-1

საქართველოს სახაზინო რკინის გზებისთვის

საჭიროა 1000 ფუთამდე კარგოვილის (სტეარინის ან ბარათინის) სანთელი

ოთხ ცალიანი რკინის გზების ტიპისა. მიიღება მცირე პარტიებიც ნაღდ ფულზე. მსურველთა შეუძლიანთ მიმართონ მოსალაპარაკებლათ რკინის გზების სამმართველოში სამასლო განყოფილების უფროსს დილის 8-2 სამთამდე, საჭიროა ნიმუშების წარმოდგენა.

3-1